KA030153793031418

№ 01-11235 **18 / მაისი / 2018 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს ბატონ დავით
სერგეენკოს

ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო
ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის
პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ ევროკავშირის პროექტის: „გენდერული თანასწორობის, ქალთა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი კომისიის მხარდაჭერა“ ფარგლებში მიმდინარე წლის 27 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით ესპანეთში, ქ. მადრიდში დაგეგმილია სასწავლო ვიზიტი, რომლის მიზანია ევროკავშირის მექანიზმების თაობაზე გამოცდილების გაზიარება უწყებათაშორისი კომისიის სტრუქტურისა და საქმიანობის გასაუბჯობესებლად.

ამასთან, მიმდინარე წლის 28 მაისიდან 8 ივნისის ჩათვლით შვეიცარიაში, ქ. ჟენევაში ტარდება შრომის საერთაშორისო კონფერენციის 107–ე სესია. აღნიშნულ სესიაზე, საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებთან ერთად, მიწვეულები არიან დამსაქმებელთა და დასაქმებულთა გაერთიანებების წარმომადგენლები, რათა უზრუნველყოფილ იქნას შეხვედრაში სამმხრივი დელეგაციის მონაწილეობა.

ზემოაღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით წარდგენილია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ქალბატონი თამილა ბარკალაია.

ევროკავშირი უზრუნველყოფს ესპანეთში დაგეგმილი ვიზიტის ხარჯების - მგზავრობის (თბილისი-მადრიდი-ჟენევა), სასტუმროსა და დღიური ნორმის ანაზღაურებას.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ ქალბატონი თამილა ბარკალაიასთვის შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას მიმდინარე წლის 27 მაისიდან 5 ივნისის ჩათვლით (27 მაისი - 1 ივნისი მადრიდი; 2 ივნისი - 5 ივნისი ჟენევა) და იმ სამივლინებო ხარჯების ანაზღაურებას, რომლებიც არ იფარება მიმწვევი მხარის მიერ (მგზავრობა ჟენევა-თბილისის მიმართულებით, სასტუმროს 3 ღამე ჟენევაში, დღიური ნორმა და დღიურ ნორმაზე დანამატი მოქმედი კანონმდებლობის თანახმად).

პატივისცემით,

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიკო ბელქანია